# იმერეთი

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

კვირა 13 ივლისი

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზ. „იმერეთი“ თფილისის ქუჩა, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში, სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

№ 104 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე 1914 № 104


ბეგლარ და დავით სიმონის ძენი მდივნები, გულჩინა სიმონის ასული ჩიქოვანისა და ელისაბედ კანდელაკის ასული მდივნისა შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გადაცვალებას პირველთა უსაყვარლესი და ძვირფასი დედის, ხოლო უკანასკნელის დედამთილის

**თეო (იგივე ანა) ლევანის ასულის მდივნისას,**

რომლის გამოსვენებაც დანიშნულია დღეს, კვირას, 13 ივლისს, დილის 10 საათზე საკუთარი სახლიდან ს. ვაკისუბანში. დაკრძალვა მოხდება ამავე სოფლის წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში. აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ, სთხოვენ მობრძანდნენ და ანუგეშონ მწუხარებაში მყოფნი ჭირისუფალნი.

## შექსპირი ქართულად!

### გამოცემა ივანე მაჩაბლის თარგმანებისა.

**მიიღება ხელის მოწერა ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნ**

## შექსპირის

რვა ტრაღედიის გამოცემაზე: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი იულიო. კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე). - გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდი გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოსცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები. ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა სამძიმოა, — მათთვის ხელის მოწერა განაწილებულია სამ ვადად: **პირველი** შემოსატანი — 1 მან. მეორე — პირველ ნოემბერს - 1 მ., და მესამე — 1 მ. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელის მოწერა მიიღება **თფილისში**: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგას ქუჩაზე, 52), და **ქუთაისში** მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში და ისიდორე კვიცარიძის კანტორა „იმერეთ“-ში გამომცემელი **ქნ. ანასტასია ალექს. ასული მაჩაბლისა**

## ქუთაისი

## პირველი კერძო სამკურნალო

სპეციალისტი ექიმებით.

**მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.**

**ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:**

**დილით.**

პრივატ-დოცენტი ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის მედიცინის დოკტორი 3. პ. **მოსეშვილი** შინაგანი და ნევრვების.

| | |
|---|---|
| ბ. ა. **მირაქოვი** — ყელის, ცხვირის, ყურისა. | 1— 2 |
| გ. ს. **ნადირაძე**. — შინაგანი და ბავშის | 10—11 |
| ა. ა. **რელიგიონი** — დოსტაქარი, ქალთა, საბებიო ყოველ დღე | 11—2 |
| მ. დ. **ბეთანოვი**. — კანის, ათაშანგი, ვენერ. | 12—2 |
| გ. ა. **ჭოდოშვილი** — საბებ., ქალთა და შინაგ. | 12½2მ |

**სალამოთ.**

| | |
|---|---|
| გ. ლ. **ქორქაშვილი** — თვალის ხუთშაბათობით | 4½—5½ |
| გ. ა. **ჭოდოშვილი** — საბებიო, ქალთა და შინაგ. | 5½—6 |

სამკურნალოსთან მოწყობილია სააქ. — საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606 — 914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

**სამკურნალოს დირექტორი — გ. ა. ჭოდოშვილი**

ექიმის იკ. ბოკერიას

## საავათმყოფო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

## მუშაობს

ხრესილის მჟავე წყლის

ძმ. ჟორჟოლაძეების

## სამკურნალო აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; **ქარებს (რევმატიზმს)** სხვადასხვაგვარ **მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას** (მალარიას) **კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს** და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი **ექიმი**, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. **აბანო** მდებარეობს **სადგურ „სერნია ვოდში“ ხრესილში** სტანციაა მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“

## შაჰიქვის მრეწველთა

## საბჭო

**იწვევს** ერთ მასწავლებელ ქალს საგნების სასწავლებლათ ჭიათურის უმაღლესი პირველდაწყებით საქალო სასწავლებელში. ჯამაგირი ექნება 720 მ და ბინისთვის 240 მან. წელიწადში, აგრეთვე იწვევს მასწავლებელ ქალს (ან კაცს) ფრანგულისა და გერმანული ენების სასწავლებლათ ამავე სასწავლებელში და აგრეთვე სავაჟო დაწყებით სასწავლებლებში. წლიური ჯამაგირი 1200 მ.

**თხოვნები მიიღება ქუთაისში მრეწველთა საბჭოში 1 აგვისტომდი.**

## ქუთაისში.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

**საბუღალტერო კურსები**

## გ. გ. გიგინეიშვილისა

კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიში.

კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მან. სწავლა კურსებზე იწყება 15 ეკენისთვიდან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში. (თფილისის ქუჩა).

კურსების გამგე: **გ. გ. გიგინეიშვილი.**

## თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა

კურსების მადნეული წყლის

## აბანო,

რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯევანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯევანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული **კურსების აბანო** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს, გიმაროი, — სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

პატივისცემით **გ. მ. არჯევანიძე.**

**ექიმმა ი. ჩარექოვმა** შესწყვიტა ავათმყოფების მიღება ექვს აგვისტომდის.

**დოკტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი **გ. ბ. მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს. — 12 ს., ნაშუადღევის 5 ს. — 8 საათამდი.

გოსპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

**ექიმი მ. დ. ბეთანოვი** იღებს **კანისა, ვენერიული, და სქესობრივი უძლურებით ავადმყოფთ** დილის 9 - 12 ს., სალამოს 5 — 8 ს. აფთიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.

**ექიმი ი. ა. ცეხანოვსკი** გადავიდა ძველი ბინიდან ივანოვის ქ., შავი ქვის საბჭოს ზევით. ღებულობს ვენერიულ, საშარდე, სიფილისიან და სხვა სასქესო ავათმყოფებს. მიიღება ავათმყოფები დილით 10 — 1 ს., სალ. 5 - 8 საათ.

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

**ექიმი ვ. ი. კაკიტელაშვილი** საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საგარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით შანათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606 — 914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9 — 12 საათ. და სალ. 5 — 7 საათ.

**მისამართი:** ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

ქ. ქუთაისში

კბილის ექიმი

## ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება.

მიიღებს ყოველდღე დილ. 9 — 2 საათ. და 4 — 7 საათ. სალ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

**ტელეფონი 153.**

**ექიმი ა. მ. ასათიანი** ღებულობს ავათმყოფებს. **ქალის, ვენერიული** (სიფილისი) და შინაგანის. საშარდე ბუშტის გაშინჯვა ელექტრონის შემწეობით (ცისტოსკოპით).

**ექიმი კ. ტყეშელაშვილი** ღებულობს ავათმყოფს (ვენერიული, კანის, & სიფილისისა) **იკვლევს ვასსერმანის მეთოდით სისხლს.** დილით 9 — 1, სალამოთი 6 — 8 ვიტუშინსკის სახლი, რიონის პირათ პუშკინის ქუჩიდან შესახვევი.

## სამოსწავლო მთავრობის ნებართვით

ამა წლის 1-ლ ეკენისთვიდან ვხსნი ვაგზლის ქუჩაზე, საკუთარ სახლში,

**მე-3 ხარისხის მოსამზადებელ**

## სასწავლებელს

ორივე სქესის ბავშთათვის, რომელსაც მიზნათ ექნება ბავშების მომზადება გიმნაზიების შესასვლელად მეორე კლასამდი.

ბავშების მიღება დაიწყება 20 აგვისტ.

ნინო მათეს ასული

**ხოჭოლავასი.**




## არეულობა პეტერბურგში.

(ოფიციალური ცნობა).

„ვედ. გრად.“-ის 10 ივლისის ნუმერში დაბეჭდილია შემდეგი: „დილის ცხრა საათიდან მუშაობა აღარ განაახლა 120,000 მუშამ. მათ შორის არიან ქალაქის ელექტრონის გზათა ვატმანები და კონდუქტორები. ამიტომ პარკიდან ვაგონები აღარ გამოსულა. დღის განმავლობაში გამოვიდა მხოლოდ 15 ვაგონი მოსკოვის პარკიდან, 24 — პეტერბურგისა და 7 — ვასილიევის კუნძულისა. ეს ვაგონები სალამომდი პოლიციელების თანხლებით მუშაობდენ. პეტერბურგის საქარხნო რაიონებში მთელი დღის განმავლობაში მუშები ჯგუფ-ჯგუფად გროვდებოდენ, სარევოლიუციო სიმღერებს მღეროდენ, წითელ დროშებს აფრიალებდენ, მაგრამ პოლიცია დემონსტრანტებს ყველგან ფანტავდა. დაპატიმრებულია 72 მუშა. განსაკუთრებით თამამად იქცეოდენ მუშები ვიბორგის ნაწილისა, სადაც ადგილის სიშორით სარგებლობდენ და, ერთს ალაგას რომ გაიფანტებოდენ, მეორე ალაგას იკრიბებოდენ. ამასთანავე ერთად მუშები მართავდენ ბარიკადებს; დატვირთულ ეტლებს აბრუნებდენ. მას ეფარებოდენ და იქიდან ქვებს უშენდენ პოლიციელებსა და ჯარს. რამდენჯერმე გაისროლეს კიდეც, უშედეგოდ. ასეთი ბარიკადები გამართული იყო დიდი სამსონიევის პროსპექტის კუთხეში შემდეგ ქუჩებზე: ბიტენინისა, ფლიუგოვისა და მურინისა, პარტოლოვისა და მურინისა. დემონსტრანტები შეეცადენ შავი რუს ნაპირზე ბარიკადების გაკეთებას. პოლიციელთა რაზმებმა ეს ბარიკადები დაარღვიეს და დემონსტრანტები გარეკეს. ამასთანავე რამდენჯერმე გაისროლეს. დახოცილთა და დაჭრილთა რაოდენობა გამოურკვეველია, რადგანაც მუშები სცდილობდენ დაჭრილ-დახოცილთა აკრებას და პოლიციელებისაგან დამალვას. დიდი სამსონიევის პროსპექტისა და კრაპივნი შესახვევის კუთხეებში დემონსტრანტების დიდმა ბრბომ, რომელიც პროსპექტზე წითელი დროშებითა და სარევოლიუციო სიმღერებით მიდიოდა, ქვები დაუშინა პოლიციელებს, რომელნიც მათ წინ გადაეღობენ. თითქმის ყველა პოლიციელი დაჭრილია; ამის შემდეგ პოლიციელებმა დემონსტრანტებს რევოლვერები ესროლეს. ორი მუშა მძიმედ დასჭრეს გულში. მეორე შემთხვევაში დემონსტრანტების დიდი ბრბო შეამწყვდიეს სამსონიევის ქუჩის № 49 სახლის ეზოში. პოლიციელების რაზმებს ქვები დაუშინეს, რის გამოც უკანასკნელთ სროლა ასტეხეს. რამდენიმე კაცი დაჭრილია.

სალამოს დემონსტრაციები კვლავ განახლდა ვასილიევის კუნძულზე ვიბორგისა, ნარვისა და ალექსანდრე ნეველის უბნებში, აგრეთვე შლისელბურგის ნაწილში. მაგრამ დემონსტრანტები ყველგან გაფანტეს. უკანასკნელ ადგილას მუშებმა პოლიციელებს ქვები დაუშინეს და ამათ კი სროლით უპასუხეს. შედეგები ჯერ გამოურკვეველია. სალამოს 11 საათზე რამდენიმე ათასმა დემონსტრანტმა ტელეფონის ბოძები წააქციეს, სახლების შუა მავთულები გაუბეს და ბარიკადები გააკეთეს, დიდი სამსონიევის პროსპექტზე სახარნი და ლომანსი შესახვევებიდან პოლიციელებს ქვები დაუშინეს, კაზაკებმა ვინტოვკებიდან ასტეხეს სროლა. ამ დროსვე დემონსტრანტებმა ბარიკადები გააკეთეს ზაგოროდნი პროსპექტზე ხუთი ქუჩის შესართავთან და ბეზბოროდკინის პროსპექტზე, სადაც პოლიციელები აგრეთვე იძულებული გახდენ სროლა აეტეხათ, რის შემდეგაც ხალხი გაიფანტა. გარდა ამისა დემონსტრანტებმა მოიწადი-

ნეს სამსონიევის ხიდის ცეცხლის წაკიდება და წყალსადენის № 7 განადგურება ზელენინის ქუჩაზე ვიბორგის მხარეს; მაგრამ პოლიციელებმა დროზე მოუსწრეს და გაფანტეს. გვიან ღამით მიღებულ ცნობების მიხედვით პეტრე-პავლეს საავადმყოფოში სამი დაჭრილი მუშა მიიყვანეს, და ერთი მოკლული. გიორგიევისაში—4 მოკლული და ოთხი დაჭრილი, მარია მაგდალინელის საავადმყოფოში—ერთი დაჭრილი.

მთელი დღის განმავლობაში მუშათა ჯგუფები თავს ესხმოდენ გამვლელ პოლიციელებს, სამს შემთხვევაში პოლიციელნი მძიმედ დასჭრეს. სახელდობ, დვინსკის ქუჩაზე მესამე საპოლიციო უბნის დაბალ პოლიციელს დაეცნენ და მძიმედ დასჭრეს თავში. ამასთანავე წაართვეს იარაღი. დასჭრეს ქვებით თავში უბნის ზედამხედველი სოსინი. მასვე მიაყენეს ხმლით სამი ჭრილობა. ხმალი უბნის ზედამხედველსვე გამოსტაცეს. დასჭრეს კიდევ ქვით თავში უბნის ზედამხედველი შპეკილიაკი. ყველა დაჭრილი საავათმყოფოში გაგზავნეს. მათი მორჩენის იმედი აქვთ, თუ ჭრილობა არ გაუძნელდათ. დაიჭრა კიდევ რამდენიმე კაცი, დაშავებულთა რიცხვი ჯერ სავსებით არ არის გამორკვეული.

## ჩვენი პრესა.

,,სახალხო ფურცელი'' ეხება რა თფილისის ქართულ გიმნაზიაში ფულების გაფლანგვის საკითხს სამართლიანად სწერს:

> თამამად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ ერში არა სწარმოებს საზოგადოებრივი სამსახური ისეთ ანორმალურ პირობებში, როგორც ჩვენში. თავი დავანებოთ იმას, რომ თვით ასპარეზი საზოგადოებრივი სამსახურისა მცირეა. დაწვრილმანებულია ჩვენი ცხოვრება და მოქმედებაც დაწვრილმანებული, დაქუცმაცებული გამოდის. იქნება სწორედ ამისი ბრალიც იყოს, რომ ჩვენი გულისყური უფრო წვრილმანებისკენ არის მიქცეული და როგორც ავის, ისე კეთილის მიზეზებს წვრილმან მიზეზებში ვეძებთ. იქნება ამითაც უნდა აიხსნებოდეს, რომ ყოველივე წვრილმანის წყალობით შესაძლებელი ჰხდება როგორც კიბის უმაღლეს საფეხურებამდე აყვანა ადამიანისა, ისე მაღლიდან ძირს ჩამოგდება. იქნება ამისი ბრალიც იყოს ჩვენში ასე ადვილი რომ არის, როგორც დაუმსახურებელი ტალახში ამოსვრა ადამიანისა, ისე დაუმსახურებელი ღირსება-პატივის მიძღვნა? ჩვენ შეგვიძლიან ნახევარი საუკუნის ამაგი ფუქსავატად ჩავუტაროთ ადამიანს, შუბლი ტყვიით გავუგმიროთ და მერე მის საფლავზე გულის შემზარავი ვაკხანალია გავმართოთ, მაგრამ ასევე ადვილად შეგვიძლიან, ხელის ერთის მოქნევით, საზოგადოებრივი სამსახურის სათავეში მოვაქციოთ ადამიანი, რომლის მთელი მოღვაწეობა იქნება თავიდან ბოლომდე ანტისაზოგადოებრივი იყო მთელის თავისი წარსულით. რა გვიშავს? ფრიად ელასტიური პრინციპებისა და ზნეობის ხალხი ვართ. არავითარი კრიტერიუმი საზოგადოებრივი სამსახურის დაფასებაში არა გვაქვს და ამიტომ არც გაგვიჭირდება დღეს ჩავქოლოთ ის, ვინც გუშინ გმირად მიგვაჩნდა და გმირად დავსახოთ ის, ვინც ამისი ღირსი არ არის, ამიტომ ჩვენ გადამეტებულ სისუსტეს ვიჩენთ იქ, სადაც სიმკაცრეა საჭირო და სიმკაცრეს ვიჩენთ იქ, სადაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს''.

სრული სიმართლეა, განმეორებით ვამბობთ ჩვენ „სახალხო ფურცლის“ ასეთი სიტყვები, მაგრამ ნუთუ თვით „სახალხო ფურცელსა“ და მის წინაპართ ცოტაოდენი დანაშაული მაინც არ მიუძღვით ასეთ ატმოსფერის შექმნაში?..

ჩვენა გვგონია, რომ მიუძღვის!

და აი რათა:

როდესაც, თუნდა მაგალითად, ქვეყნის დიდი მოამაგე ილია ჭავჭავაძე ჯერ ისევ სიცოცხლეშივე ყბად აიღეს და გამვლელი თუ გამომვლელი ყველა სწიხლავდა მის უებრო სახელს, რატომ თავგამოდებით არ იცავდენ მას? ან კიდევ ნუთუ დრო არ არის სავსებით გამოირკვეს ილიას მოკვლის ამბები?

ჩვენი პრესის მეორე ბანაკიდან ყოველდღე მასხრათ იგდებენ მათ იდეურ მოწინაალმდეგეთ, ყოველივე ღონესა ღონობენ, ყოველგვარ ცილისწამებას იშველიებენ, ოღონდაც კი დაამცირონ თავისი მოპირდაპირე; თითქმის ყოველდღე ირონიულათ გვეკითხებიან: „რა ხალხი ხართ, რომ დღევანდლამდი ვერც ილიას მკვლელები აღმოგიჩენიათ და ვერც ვ. მაჩაბლის დაკარგვის მიზეზები გამოგიკვლევიათო“ და ჩვენ კი კვლავ ვსდუმვართ და სიმართლეს არ ვეძებთ, თუ არ ვამბობთ.

პირიქით თუ კი საქმე პირად ჩვენ თავმოყვარეობას, პირად, პარტიულ მოსაზრებათ შეეხება, ან ზედ გადავეფარებით ხოლმე ამა თუ იმ უღირსს (აქაო და ჩვენი ბანაკისააო) ან და თავგამოდებით მხარს ვუჭერთ.

ეს ნაკლი ქართული პრესის **ორივე მიმდინარეობასა სჭირს** და ჩვენის აზრით, სწორეთ ეს არის მიზეზი, რომ დღეს თითოეულის ჩვენთაგანის **პიროვნება და მისი ღირსება** მხოლოდ პარტიულ ინტერესების თვალსაზრისით იზომება. განა არ შეიძლება რომელიმე ქართველი მოღვაწე ამა თუ იმ დასსა თუ პარტიას არ ეკუთნოდეს, მაგრამ დიდი მოამაგე კი იყოს ქართველი ერისა?

მაგრამ ასეთი მოღვაწე გათიშული რჩება და ან უნდა სდუმდეს, ან გულში იკლავდეს იმ ბოღმას, რომელიც გამოწვეულია თანამედროვე ორომტრიალის მზერით. ვინ დაიფარავს, ვინ გამოესარჩლება ამისთანა მოღვაწეს? მე მგონია არავინ, ვინაიდან პარტიული ფანატიკოსობით გატაცებული ესა თუ ის ბანაკი თავის თავის მეტს ვერავისა ხედავს და თავის პირად გულისთქმის მეტი არა ახსოვს რა.

საერო, საზოგადო საქმე კი „ქვითინებს მაღლა სერზედა“!

დიახ, ამის შემდეგ საკვირველი არ არის, რომ ღირსეულ შვილებს ქვეყნისას ზნეობრივათა თუ ფიზიკურათ ვკლავდეთ, ხოლო უღირსებს კი ხშირად ტაშს უკრავდეთ!..

დრო კი არის ჩაუკვირდეთ ჩვენ უკეთურ ცხოვრებას, დავივიწყოთ პირადი ჟინიანობა, ყოველივე ავი თითოეულის ჩვენთაგანისა დავგმოთ, კარგი მოვიწონოთ და შეერთებულის ძალით ავლაგმოთ ჩვენი ქვეყნისა თუ საზოგადო დაწესებულებათა მტერი და დუშმანი.

ხალხი იღვიძებს, ხალხი ანგარიშსა გვთხოვს, ჩვენ კი ან პარტიულის მოსაზრებით თვალებსა ვხუჭავთ და ან გავიძახით: „სათქმელი ბევრია, მაგრამ პირი წყლითა მაქვს სავსეო“!

ამგვარის ჩვენის საქციელით კი ვღუპავთ ჩვენ მომავალს...

მარტო წუწუნი რა ბედენაა!..

სათქმელიც უნდა ვსთქვათ და საქვეყნო საქმეც **საერთოდ** უნდა გავაკეთოდ, თუ გვინდა, რომ ღირსეული შვილები ვიყოთ ჩვენი ქვეყნისა და ხალხისა!..

## ქუთაისი.

### ახალი ამბავი.

ეთნოგრაფიული საზოგადოების გამგეობის თავჯდომარე ტრიფონ ჯაფარიძე, გამგეობის წევრი გრიგოლ (დავითისძე) გველესიანი, ტიტე მარგველაშვილი და სტ. გ. კოკოჩაშვილი ამ კვირაში მიემგზავრებიან ჭალის მთაში და იმ რაიონში არსებული ძველი ნანგრევების დასათვალიერებლათ და სხვადასხვა სიძველის შესაკრებათ.

✦ 24 ივნისს, სოფ. წყალტუბოში ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა ბ. გრ. ჩარკვიანის რეჟისორობით წყალტუბოს სამკითხველოს სასარგებლოთ წარმოდგენა გამართეს. წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა, და ხალხიც ბლომათ დაესწრო.

✦ იბეჭდება და მალე გამოვა ახალი ლოცვანი შკოლებში სახმარ სახელმძღვანელოთ შედგენილი ღვდლის პლატონ ცქიტიშვილის მიერ.

✦ მზადდება ახალი გამოცემა ,,გუთნისა''.

✦ ყ.-დ სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი ხვალ ბორჯომს მიდის საზაფხულოთ.

✦ დღეს ქალაქ ფოთში, ვ. რუხაძის, გ. ქუჩიშვილის, ნ. ჩხიკვაძის, გ. ტაბიძის და ბ. პელაშვილის მონაწილეობით სალიტერატურო საღამო გაიმართება.

✦ 11 ივნისს, საღამოს 7 საათზე, ქარვასლის ქუჩაზე, ქ. ვარშავის მცხოვრებმა ქალმა ლილია ბანდურსკაიამ ,,ოპიუმი'' დალია, მაგრამ იგი აქიმების დახმარებით გადაარჩინეს. თავის მკვლელობის მიზეზი ნივთიერი გაჭირვება ყოფილა.

✦ 11 ივლისს პეტერბურგის ბირჟაზე სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გირავნობის ფურცლები 77 მანეთად და 75 კაპიკათ ფასობდა.

✦ 15 ივლისს ოლქის სასამართლოში გაირჩევა იასონ ჩხენკელის, კონსტანტინე ჯანუაშვილისა და კირილე ცოცხვაიას საქმე.

✦ 12 ივლისიდან ქუთაისში გაზ. ,,აზრი'' მაგიერათ გამოდის ,,ახალი აზრი'' კ. ცერცვაძის რედაქტორობით.

✦ გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას გამოუგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ტეხნიკური განყოფილებისაგან შემუშავებული პროეკტი, თუ როგორ უნდა ააშენონ კირისა და ცემენტისაგან შენობები.

✦ როგორც ტყიბულიდან გვწერენ, ამ დღეებში იქ რაჭისაკენ მიმავალ ეტლს, რომელშიაც ორი მგზავრი ყოფილა დატაკებია ქვანახშირის საზიდავი ვაგონი. ეტლი გადაბრუნებულა და მგზავრები მძიმეთ დაშავებულან.

✦ 19 ივლისს მომრიგებელ მოსამართლესთან მოხდება საჯარო ვაჭრობა ნოე კუჭუხიძის მოძრავი ქონებისა.

✦ ამ ჟამათ ტყიბულისკენ მატარებლით აუარებელი ხალხი მიდის, მაგრამ საუბედუროთ ვაგონები ისე მცირე არის, რომ ნახევარი მგზავრები უბილეთოთ რჩებიან. კარგს იზამს რკ. გზის გამგეობა, რომ ამ ლიანდაგზე ამ ზაფხულობით ვაგონებს მოუმატებდეს.

✦ მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია ნიკო ნოდიას, ნესტორ ჯღარკავას და ბაღდათურიას საქმეები. მათ ბრალდებოდათ „ცოცხალი საქონლით“ ვაჭრობა. სასამართლომ ორი პირველი გაამართლა და უკანასკნელი კი 5 თუმნით დააჯარიმა.

✦ ხვალ, 14 ივლისს, დ. ქიათურიდან გაემგზავრება საექსკურსიოთ სამხრეთ რუსეთში სამთო-საქარხნო სასწავლებლის კურსდასრულებული.

## თფილისი

**პროფესორი ნ. მარი** თელავის მაზრიდან თფილისს დაბრუნდა და ამ დღეებში სვანეთს გაემგზავრება.

**ტრამვაის მუშათა გაფიცვა** კვლავ წესიერების დაურღვევლათ მიმდინარეობს. ტრამვაის რამდენიმე ვაგონი კიდევ მუშაობს პოლიციელთა შემწეობით. გუშინ ორმა ვაგონმა ავლაბრის[illegible] სიარული. მეფის [illegible] ბობის აღმასრულებელმა გენერალ-ა. ზ. მიშლაევსკიმ პოლიცმეისტერს განკარგულება მისცა, მიღებულ იქნას ღონისძიებანი, რათა ტრამვაის გაფიცვა კვლავ წესიერად მიმდინარეობდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში უკიდურესი ღონისძიებანი იქნას მიღებული მშვიდობიანობისა და წესიერების აღსადგენათ და აგრეთვე მიღებულ იქნას ღონისძიებანი, რომ ქალაქი გაფიცვის დროს არ იქნას მოწყვეტილი განაპირა უბნებს, სადაც ღარიბი ხალხი ბინადრობს.

— ტრამვაის დირექცია საგანგებო განცხადებით იწვევს გაფიცულთ, დღეს, 12 ივლისს, დაიწყონ მუშაობა, და ან სამსახურს სრულიად დაანებონ თავი და დირექციასთან ყოველივე ანგარიში გაასწორონ.

— **მ. ი. ლერმონტოვის ძეგლი.** როგორც ვწერდით, ქალაქის თვითმართველობას აზრათ აქვს, ძეგლი დაუდგას რუსეთის გამოჩენილ პოეტს მ. ი. ლერმონტოვს. ძეგლის პროეკტი უკვე შეადგინა გ. ი. კეპინოვმა. პროეკტს დღეს განიხილავს ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისია.

— **ქუთაისის ქალაქის მოურავი ი. მ. ჩიქოვანი** თფილისს ჩამოვიდა საობლიგაციო საქალაქო სესხის აღების საქმის გამო. როგორც ვიცით, ქუთაისის ქალაქის საბჭომ უკვე გადასწყვიტა, აიღოს 3,062,000 მანეთიანი სესხი ოჯახურ წესით სხვადასხვა საქმის შესასრულებლათ, მაგალითად: ქუჩების მოსაკირწყლავათ და არხებისა, ელექტრონისა და ტრამვაის გასაყვანათ.

**გაზეთ „ზაკავკაზსკაია რეჩ“-ის** გუშინწინდელი ნუმერი საცენზურო კომიტეტის განკარგულებით აღკრძალეს.

### ახლათ დაარსებულ ქ. ვაჭარ-მრეწველთა კავშირის მიზნები: *)

1. ვაჭრობა-მრეწველობის ამა თუ იმ დარგთა მწარმოებლობის ურთიერთი დაკავშირება მიჩნეულ წარმოების საერთო ინტერესების ნიადაგზე მოწყობისთვის დარგობრივი შეერთება მწარმოებელთა იქნება შემადგენელი ერთეული ერთი მთლიანი კავშირისა, სადაც უნდა შეერთდეს მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობა.

2. უმთავრესი მიზანია ხელის შეწყო-

*) ამ მოკლე ხანში ჩვენ გაზეთში დაისტამბება ვრცელი წერილი, რომელშიც დასაბუთებული იქნება ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დებულებანი.

რედ.

## საფრანგეთის იაკობინელები და ჩვენი სოციალ-დემოკრატები.

(იხ. „იმერეთი“ 99-ე №.)

რადგანაც აბსოლიუტური—თავისუფალი უნდა იყოს ყოველივე შეცდომისაგან, ე. ი. უნდა იყოს განხორციელებული სიმართლე და ჭეშმარიტება, ამიტომ სოციალდემოკრატია. როგორც ერთ დროს რომის პაპა, უცოდველად აღიარებს თავს. გადაიკითხეთ მისი ჟურნალ-გაზეთები და წიგნაკები და დარწმუნდებით. ყველაფერი, რაც მარქსსა, ენგელსსა და მათ მიმდევართ უთქვამსთ და დაუწერიათ, სოციალდემოკრატიის უებრო, უეჭველი ჭეშმარიტება ჰგონია და სწამს, დანარჩენი მწერლობა ეშმაკისაგან არისო. მისი ფიქრით, მწერალი, რომელიც კი სოციალდემოკრატი არ არის, შავრაზმელია, დამრბევი, შოვინისტი, ვიწრო ნაციონალისტი, უსინდისო, უმეცარი, რეაკციონერი და, ვინ იცის, კიდევ რა არა! ის საშუალო საუკუნეთა ფანატიკოსია, რომელსაც არ შეუძლია მოპირდაპირის აზრს გულდამშვიდებით კრიტიკის ნესტარი გაუტაროს. მისი კრიტიკა უმთავრესად—გაბოროტებული, გახელებული კაცის გულისწყრომაა. მან არ იცის, რა არის პატივისცემა მოპირდაპირის აზრისა და პიროვნებისადმი. და, რასაკვირველია, ამის მიზეზიც იგივე აბსოლიუტისტური სულია, რომლითაც გაჟღენთილია მისი მსოფლმხედველობა: რადგანაც თავისი რწმენა ერთადერთს, აბსოლიუტურ ჭეშმარიტებად მიაჩნია, სხვისი რწმენა—ბოროტებისა და ეშმაკეულობისაგან შობილი ჰგონია.

სწორედ ასეთი იყო იაკობინელთა ლიტერატურაც.

აქ შევჩერდები ერთს სოცარ მსგავსებაზე. ზევით აღვნიშნეთ, რომ იაკობინელებმა მთელი საფრანგეთი ორ ბანაკად გაჰყვეს: საეჭვოებად და კეთილ-საიმედო მოქალაქეებად. და სოციალდემოკრატიაც ხომ ორ მოპირდაპირე ნაწილადა ჰყოფს მთელ ერს: ბურჟუებად და პროლეტარებად, უკეთ ვთქვათ, სოციალდემოკრატებად და არასოციალდემოკრატებად. მათ შორის ხიდი არ არის, უფსკრულია, მტრობა და ბრძოლაა. ერთობა, შემაკავშირებელი ერის სხვადასხვა ნაწილისა, არ არსებობს. ერთი მხრითა დგას მყვლეფელი და მძარცველი, მეორე მხრით გაყვლეფილი და გაძარცული. და განა შეიძლება იყოს რამე საერთო გამძარცველსა და გაძარცულს შორის?! და ისეთი, რომელიც არც მყვლეფელია და არც გაყვლეფილი, არავინ არის!

არა მგონია, ამაზე უფრო შიშველი, გაყვლეფილი და გაძარცული მსოფლმხედველობა ოდესმე ყოფილიყო! ყოველი ბოტანიკოსი გეტყვისთ: მცენარათა სამეფოში განუვითარებელი ერთკვერცხუჯრედიანი არსებიდან დაწყებული მაღალ-განვითარებულ მცენარემდის თანდათანობითი აღსვლაა, პროგრესსი ერთი საფეხურიდან ნელნელა გადადის მეორე საფეხურზე, მდაბალსა და მაღალ მცენარეებს შუა უფსკრული არ არის, ხიდი არ არის ჩატეხილი. ამასვე გეტყვის ყოველი ძოოლოგი ცხოველთა შესახებ. და ორივე ერთად აღიარებს, რომ თვით ცხოველთა და მცენარეთა შორისაც კი არ არის სრული, გაუვალი უფსკრული.

მაშ რატომ უნდა წარმოადგენდეს კაცობრიობა გამონაკლისს ბიოლოგიურ მოვლენათაგან?! მაგრამ, ცხადია, სოციალდემოკრატიული მსოფლმხედველობა—ცალმხრივი, ყოველსავე მეცნიარულ ღირებულებას მოკლებულია.

მართლაც, თანამედროვე საზოგადოების უმეტესობას უკიდურესი საფეხურები, ე. ი. ერთი მხრით ღატაკნი და მეორე მხრით მდიდარნი. კი არ შეადგენენ, არამედ საშუალო წრეები, რომელნიც არიან შემაერთებელი ხიდი უკიდურეს საფეხურთა შორის. და პოლიტიკური, ეკონომიური და ეროვნული ძალა—ერის ამ უმეტესობაში, ე. ი. საშუალო წრეებშია.

ეს წრეები წვრილი მესაკუთრეთაგან ე. ი. წვრილ ვაჭართა, გლეხთა და მემამულეთაგან შესდგებიან. მამულის სიყვარულისა და ეროვნული იდეის მატარებელნი უმთავრესად ისინი არიან. ეროვნული სული მათ შორის ტრიალობს, ეროვნულ ვინაობას ისინი იცავენ. ერთი სიტყვით, ეროვნულ საფუძველს ისინი წარმოადგენენ. და ვერავითარი მოძრაობა, რომელიც მათ არ ემყარება, საბოლოოდ ვერ გაიმარჯვებს.

თვით ბურჟუებსა და პროლეტარებსა, მდიდრებსა და ღარიბებს შორისაც არის ერთობა, როგორც ეროვნულ-კულტურული, აგრეთვე ეკონომიური. რა აერთებს სხვადასხვა კლასს? ჩამომავლობა, ენა და ლიტერატურა, ხელოვნება და მეცნიერება, ზნეჩვეულებანი, ეკონომიური, სამრეწველო-სავაჭრო მიზანი, მიწა და საერთო ისტორიული თავგადასავალი. ყველაფერი ეს ეროვნულ ფარგალშია მოთავსებული და განსაზღვრული. უამისოდ ერი არ იქნებოდა სოციალური ორგანიზმი. სოციალდემოკრატიული თვალსაზრისით კი არ არსებობს, მაგალითად, ქართველი ერი, რადგან ქართველ პროლეტარებსა და ბურჟუებსა, გლეხებსა და მემამულეებს შორის არაფერი არ არის საერთო. და, ასე გაშინჯეთ, ხანდახან იმასაც კი ამტკიცებენ, პროლეტარების ქართული ენა სულ სხვაა, ვიდრე ბურჟუებისაო!

ერთი სიტყვით, ერი არ არსებობს, როგორც ორგანიზმი, არამედ მხოლოდ სოციალური კლასსები არსებობენ, რომელთა შორისაც ზოოლოგიური, სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლა სუფევს. მათ შორის შეუძლებელია ერთობა, მხოლოდ მტრობაა, რომელმაც უნდა მიანიჭოს გამარჯვება პროლეტარიატს. და მაშინ კაცობრიობა ზოოლოგიური მტრობის სამეფოდან საკაცობრიო ერთობაში გადახტებაო!

არის კიდევ ერთი სოციალდემოკრატიულ იაკობინური შეხედულობა, რომელიც შინაგან წინააღმდეგობას, ე. ი. თვით უმთავრესი სოციალდემოკრატიული პრინციპის უარყოფას წარმოადგენს. სოციალდემოკრატები ინტელლიგენციას ხან არარაობად, საზოგადოების მეტხორცად, სთვლიან და ხან სასარგებლო ნაწილად. და ვერ გრძნობენ, თავის თავს რომ ეწინააღმდეგებიან: ერთი მხრით ცამდის აქებ-ადიდებენ და აზვიადებენ სოციალდემოკრატიული ინტელლიგენციის მნიშვნელობას, მეორე მხრით მას (ინტელლიგენციას)—საზოგადოების მტრად აღიარებენ.

რატომ? ცხადია, მიტომ, რომ ინტელლიგენციის დიდი უმეტესობა—არა სოციალდემოკრატებისაგან შესდგება.

მაგრამ სოციალიზმის მამამთავარი სენსიმონი ამბობდა: მოსპევით მეცნიერები, ინჟენრები, ტეხნიკები, აგრონომები, აქიმები და სხ.,—და მოისპობა განათლებაო. და რაც ამ დიდმა მოძღვარმა თქვა, იმას ჩვენ ველარაფერს დავუმატებთ.

დიაღ, ინტელლიგენცია რომ არა ჰყავთ, ეს არის სხვათა შორის მიზეზი, სოციალდემოკრატები რომ მოპირდაპირე ინტელიგენტის პიროვნებას პატივს არა სცემენ და მისი უსაბუთოდ და უსამართლოდ შეურაცხყოფა ასე ადვილებათ.

და მათი მოძღვრება, ცხადია, უკიდურესად აბსოლიუტისტურია. ნაწილს უნდა დაიჭიროს მთელის ადგილი, აასრულოს მთელის როლი. მაგრამ ამ მთელის მეორე ნაწილი წინ ეღობება და მოაგონებს, რომ მთელი მეტია, ვიდრე ნაწილი. ამიტომ, ნაწილი რომ გახდეს მთელად, აბსოლიუტად, საჭიროა, მთლად მოისპოს მეორე ნაწილი. აქიდან წარმოსდგება ყოველი აბსოლიუტისტური პარტიის შეურიგებლობა, მტრობა მოპირდაპირე პარტიათადმი. მას სხვა პარტიების გვერდით მუშაობა და მოქმედება არ შეუძლია და მისი ლოზუნგი ეს არის: ან მე უნდა ვიყო, ან სხვაო. სხვა პარტიები და მე ქვეყანაზე ერთად ვერ დავეტევითო!

სწორედ ასეთი იყო იაკობინელების თვისებაც. მათ საფრანგეთი ორად ჰყავდათ გაყოფილი: პატრიოტებად და მოღალატეებად. მოღალატეებს ულმობელი, სასტიკი, სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლა გამოუცხადეს. მაგრამ, რადგან ერის უმეტესობა ამ „მოღალატეთაგან“ შესდგებოდა, იაკობინელები დამარცხდნენ.

როგორც იაკობინელთ ეგონათ, აგრეთვე სოციალდემოკრატებს ჰგონიათ, ერის უმეტესობა ჩვენკენ არისო, ეს საშინელი შეცდომაა. და ამ შეცდომის ნაყოფი უკვე იხედება: სოციალდემოკრატებმა ისიც კი ვერ მოახერხეს, რომ თავისი დეპუტატი გაეგზავნათ თფილისის გუბერნიდან სოლოლაკელთა დაუხმარებლად. და, თუ კი სომხის ბურჟუაზიის დახმარება საჭირო ყოფილა მათთვის, ცხადია, ხალხის უმეტესობა მათკენ არ არის.

როგორცა ვთქვით, იაკობინელებმა მთე-

ჩვენი ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება-გაფართოებისთვის, რითაც ძლიერდება ჩვენი მოქალაქობრივობა. ამისთვის საჭიროა: ა) ნედლი მასალის შეძენა პირდაპირ — უშუამავლოთ — ქართველ მწარმოებელთა მიერ. ბ) ნედლ მასალათა გადამუშავება საბოლოოთ სახმარ ნაწარმოებათ ქ. მწარმოებელთა მიერ. გ) ჩვენი ნაწარმოების გატანა პირდაპირ მსოფლიო ბაზარზე ქ მწ—თა მიერ ანუ ბაზრის მოპოვება. დ) უცხო საქონელთა შემოტანა საქართველოში **კავშირის** მიერ რაც შეიძლება ხელსაყრელ პირობებში (მასიური მოთხოვნა—მასიური გასაღება).

3. სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპის დაჩქარება ქარხნების დაარსებით იმ დარგში, სადაც ქართველი მწარმოებელი უუვლახეს შემთხვევაში მინიმალურ კონკურენციას თუ განიცდის (რომ ამით დაასწროს უცხო კაპიტალის გაბატონებას ჯერ კიდევ თავისუფალ დარგებში); განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ა) კონსერვებისა და ბ) აბრეშუმეულობის საქსოვ ქარხნებს.

კავშირი უნდა იქნეს მაცხოვრებელი სვეტი ქ. მწარმოებელთათვის: სურთ ქ. მწ. ნედლი მასალა ცა აცხადებენ სურვილს კავშირის მიჩნეულ დარგის გამგეობაში, კავშირი სარგებლობს მასიური მოთხოვნით და ცდილობს შეიძინოს საჭირო საქონელი უფრო სალავათიან პირობებში ვიდრე ის ცალკე პირს ძალუძს.

აგრეთვე კავშირი აწყობს დამზადებულ ნაწარმოებთა გასაღებას უცხოეთში.

## გზა და გზა.

(ყუაზე ასაღები, წყალ წასაღები).

ამიერკავკასიის რკინის გზას აქვს, სხვათა შორის, საკუთარი სასწავლებლები და ეკლესიები; ზოგან ერთკლასიანი, ზოგან ორკლასიანი და ზოგანაც სამოქალაქო; ასეთი სასწავლებლები იქნება სულ მთელ ლიანდაგზე თექვსმეტი: ბაქოს, აჯიკაბულს, ქიურ-და მირს, აკსტაფას, განჯას, ერევანს, თფილისს სამი, ხაშურს, ზესტაფონს, სამტრედიას, ბათუმსა და სხ. ამ სასწავლებლებს განაგებს რკინის გზის უფროსი სამოსწავლებლო განყოფილების საშუალებით. რკინის გზა ამ სასწავლებლებს ინახავს თვისის ხარჯით, სასწავლებლების შენობები, მასწავლებლების ჯამაგირი, მათი ბინა, შეშა და განათება გზისაა და, სიმართლე უნდა თქვას კაცმა, ამ მხრით ბევრით მაღლა სდგას, ე. ი. უზრუნველყოფილი არიან ბევრათ სამინისტროსა და სხვა ტიპის სკოლებთან შედარებით. მასწავლებლებსაც თვითონ ირჩევს რკინის გზა, მხოლოდ დირექცია კი ამტკიცებს მათ თანამდებობაზე, ასე რომ ოჯახური საქმე რკინის გზას აქვს დაკისრებული, ხოლო სამოსწავლებლო-აღმზდელობითი კი, სამინისტროს. ამ მხრით ეს სასწავლებლები მართლაც ორ წყალ შუაა: სამინისტრო და რკინის გზა ერთმანეთს ეჯიბრებიან, უფლება ერთმა მეორეს არ გადაამეტოს და ხან ერთი უწვდის ხელს და ხან მეორე, ასე რომ საბრალო მასწავლებლებმა არ იციან ვის მიემხრონ, ვის მიმართოს, „საიმედო ვინ არის", ისევ ორივეს ხელ-პირის შემჩერე უნდა იყოს, თორემ ერთის კალმის მოსმით „შეიძლება დამარცხება". არა და „ორი ღმერთის მსახურებაც" ხომ ყველაზე უძნელესია. ცოტა ახლოს მივიდეთ ამ სკოლებთან, შევიხედოთ შიგა და ვსცნათ რა მდგომარეობაში არიან, რა სტკივათ, როგორ შეიძლება იქ საქმის გამოსწორება, რომ დონეზე იდგეს, არც შამფური დაიწვას და არც მწვადი. ამ სასწავლებლებში, რადგან იგი უმეტეს ნაწილად ქუთაისისა და თფილისის გუბერნიების სადგურებზე არიან გახსნილი, სადაც ქართველობაა მკვიდრნი, თითქმის სულ ქართველობა სწავლობს, სულ თუ არა, სამი წილი მაინც უსათუოდ. ჯერ ხომ სასწავლო საქმე ა. წ. „ინოროდცების" სკოლებში გათახსირებულათ წარმოებს, ეს ყველასათვის აშკარაა და რაც დრო გადის უფრო და უფრო უჭირენ ხელს სამშობლო ენას; ერთადერთი კუდმოგლეჯილი 1881 წლის პროგრამაა და ისიც გასაწყვი შეიქნა, ხან სამოსწავლებლო მთავრობა აფუჩეჩებს, ან მოკვეცს რასმე და ხან მოლაქუცე მასწავლებლები უარყოფენ თვითონ და ბატონის საამებლათ მუნჯურ, უარყოფილ მეთოდს ამჯობინებენ. რკინის გზის სასწავლებლებში კი ისეა საქმე დაყენებული, რომ სამშობლო ენის ხსენებაც არაა, არც პირველს, არც მეორესა და არც, მით უფრო, შემდეგს განყოფილებებში; თუ გაბედე და სთქვი რამე სადაა ასე საქმე დაყენებულიო, მაშინვე პორტფელიდან ამოიღებენ და შემოგჩრიან დასტურლამას, რომელსაც დიდის ასოებით აწერია ზედა: „Общій уставъ всероссійскихъ желѣзныхъ дорогъ". აი ამას ერთი ბეწოც არ შეიძლება მოაკლდეს, ან მოემატოს. იყო დროებით ქართული ენა, რამდენიმე გაკვეთილი, პირველს განყოფილებაში სამტრედიის სკოლაში, როგორც გამონაკლისი, მაგრამ იმისთვისაც ჩაილურის წყალი დაუღევნებიათ, დავიწყების დავთარში გადუსრულიათ და მისი ხსენებაც აღარაა ამჟამად, როგორც გვარწმუნებენ. ნეტავი რა ცოდვა იქნება, რომ საცოდავ ქართველ ბავშებს ქართულადვე ასწავლიდენ პირველს წელიწადს მაინც და ეს ხომ ნამეტანი ღვთის რისხვაა კიდევ, რომ სადაც ქართველთა ბავშების რიცხვი სჭარბობს, იქ მასწავლებლად დანიშნულია ტომით რუსი, რომელსაც ქართული იმდენად ესმის, რამდენათაც თქვენს უმორჩილესს მონას ჩინური ენა. არც ისეა ჩალით დახურული ქვეყანა, რომ ამის თაობაზე ვინმე, შეერთებულის ძალით ხმას ამოიღებდეს და არ დააკმაყოფილონ ეს კანონიერი მოთხოვნილება და არ დასტოვონ ხმად „მღაღადებელისა უდაბნოსა შინა". თუ ასე გვიწყრება ღმერთი, ეს მაინც მოხერხდეს, რომ ქართველი მასწავლებელი დაინიშნოს ქართველ მოსწავლეებთა შორის, რომ არ გადამახინჯდენ ბავშები და, რომ იტყვიან სოფლელები, არ „გაპარტახდენ"!..

ახლა ეკლესიებში შებძანდით, არცერთს მათგანში ქართულად არ იდიდება ღმერთი, მიუხედავად იმისა, რომ იქ, როგორც სასწავლებლებშიც, რკინის გზის მოსამსახურენი ორს მესამედს სჭარბობენ. საქართველოში ხომ ერთი ქართველი მღვდელი არაა რომ ქართულად ადსარება მაინც ათქმევინოს მაზიარებელს რუსული ენის უცოდინარის მოსამსახურის ოჯახის წევრს, დედას, მამას, ან სხვას ვისმე. აიღეთ თუნდაც ახალი ნაკურთხი შორაპნის ეკლესია; იქ მღვდლათ ტომით რუსია, ქართულის არა გაეგება რა და მლოცველთა რიცხვს, მცირედის გამოკლებით, თითქმის ქართველობა შეადგენს. მაშ თუ არა ამ მიზეზით, რით აიხსნება, რომ ამ ეკლესიაში წირვა-ლოცვაზე ხალხი სრულიად არ დაიარება, როგორც ამბობენ. თუ უნდოდათ სამლოცველოთ გეხადათ ეს ეკლესია, მლოცველების ენაზე უნდა შეესრულებიათ ღვთის-მსახურება, თუ არა და რაღათ იხარჯებიან, ეკლესიის აგებით, მღვდლის ჯამაგირის დანიშვნით და სხ. ხარჯებით. სულ ყველგან პოლიტიკა არ გამოდგება, თორემ ასე ქვეყნის აშენება, აშოროს ღმერთმა, არ მოხდეს.

მიმდინარე 1914 წ. რკინის გზის სასწავლებლების მასწავლებლებიც გამონაკლისს შეადგენენ სხვა ტიპის სასწავლებლების მასწავლებლებთან შედარებით იმ მხრივ, რომ იგინი მოკლებული არიან ხუთ-ხუთი წლის დამატებითი ჯამაგირებს, რომლებიც უკვე დაურიგდა სამინისტრო სასწავლებლების მასწავლებლებს. რკინის გზის მასწავლებლები უფრო ღირსი უნდა ყოფილიყვნენ ყურადღებისა, რადგან უფრო გამწვავებულ მდგომარეობაში უხდებათ მათ სამსახური, მაგრამ ვინაა პატრონი.

გ. გძელი.

თავადი გიორგი ალმასხანის ძე, ძენი მისნი: ექიმი ასლანი, ინჟინერი ბიკტორი, ალექსანდრე, ჯიუ, რძლებით: კნ. სარრა, ანნა, პასიკო გელოვანები, ქალიშვილები: კნ. ელენტია ჩიჩუასი და დოსია ჩიქოვანისა ქმრებით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი საყვარელი მეუღლის, მეორენი და უკანასკნელნი ძვირფასი დედის და მესამენი დაუვიწყარი დედამთილის კნეინა

**ეკატერინა ნიკოლოზ ყიფიანის**

ასულის გარდაცვალებას, რომლის გამოსვენებაც დანიშნულია ოთხშაბათს, 16 ივლისს, საკუთარ სახლიდან სოფ. სპათაგორში, ლეჩხ. მაზრა. დასაფლავება სოფ. ახალჭალას საგვარეულო სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველდღე საღ. 6 საათზე.

## მცირე შენიშვნა

**ქართული გამოცემების გაგზავნის საქმე ინგლისში.**

როგორც საზოგადოებას მოეხსენება ბ-ნმა უორდროპმა ოქსფორდის უნივერსიტეტთა დააარსა ქართული ბიბლიოთეკა. ბ-ნი უორდროპი გაზეთების საშუალებით სთხოვს საზოგადოებას და წიგნების გამომცემლებს ეგზავნათ მისთვის თითო ცალი თავიანთი გამოცემისა ხსენებულის ბიბლიოთეკისათვის. მაგრამ ეს თხოვნა ბ-ნის უორდროპისა თურმე დღემდი უყურადღებოთ არის დარჩენილი. ამიტომ ჩვენ ვიკისრეთ ინგლისში ქართული წიგნების გაგზავნის მოწესრიგება და ვსთხოვთ ქართულ წიგნების გამომცემლებს თავიანთი გამოცემის თითო ცალი გამოგზავნონ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, საიდანაც თავის დროზე ის გამოცემანი გაეგზავნება ბ-ნს უორდროპს. ვსთხოვ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს შენიშვნა.

დ. ბოცვაძე.

იროდიონ სოხადულაშვილი.

## რუსეთი.

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

**გაფიცვის გამო გაზეთების შეჩერება.**

**მოსკოვი.** გაფიცვების გამო არ გამოსულა „რუსკია ვედომოსტი", „გოლოს მოსკვი", „რუსკოე სლოვო" და ,,რანნეე უტრო''.

**მუშაობის დაწყება.**

**რიგა.** მუშაობა 25,000 გაფიცულმა დაიწყო. გრძელდება გაფიცვები ნავსადგურის მუშებისა. ინცინდენტები არ მომხდარა.

**ცეცხლის გაჩენა.**

**რიაზანი.** ორთქმავალის ნაპერწკალისაგან ცეცხლი წაეკიდა ეკტურის სახაზინო ტყეს. ცეცხლის ჩასაქრობად ჯარები გამოიწვიეს.

**გაფიცულთა დაჭრა.**

**ნიკოლაევი.** ხერსონის გუბ. გაფიცულია 8000 მუშა. გამოსვლისას მუშებმა სარევოლიუციო სიმღერები დაიწყეს. ჯარებმა თოფები ისროლეს. ბევრი დაჭრილია.

**მონასტერთა უფლება.**

ეპარქიალურმა მთავრობამ სინოდისაგან ცირკულიარი მიიღო, რომლის ძალითაც, სენატის განკარგულებით, ადმინისტრაციას ეკრძალება შემავიწროებელ ზომებს მიმართოს როგორც სახელმწიფო, ისე საქალაქო ნედოიმკების გადახდევინების დროს. აკრძალულია მცხოვრებთა ქონების აწერა და საჯარო ვაჭრობით გაყიდვა ნედოიმკების დასაკმაყოფილებლათ.

**გაფიცვები მოსკოვში.**

პეტერბურგის გაფიცვებთან ერთად მოსკოვშიდაც გაიფიცენ ბევრი ფაბრიკისა და ქარხნების მომუშავენი. აგრეთვე გაიფიცენ ბევრი სტამბის მომუშავენიც. მოსკოვში სულ გაფიცულთა რიცხვი 15,923 უდრიდა.

**ილიოდორის გაქცევა.**

გემ ,,ვენერა''-თი ილიოდორე როსტოვს მივიდა. კაპიტანმა განაცხადა, რომ მგზავრები სულ გემზე 500-მდი იყო და ამიტომ ძნელათ შენიშნავდა კაცი გადაცმულ ილიოდორეს, თუმცა იგი თვით იქცევდა ყურადღებას. იწვა მეორე კლასში, ბილეთი კი მესამე კლასისა ჰქონდა. როდესაც მოინდომეს [illegible] შეში გაყვანა, მგზავრები [illegible] და განაცხადეს: — ცოდვაა [illegible] გააგდოთ კბილებით ავათმყოფი ქალიო.

გადაცმული მთელი გზა იქით-აქით იცქირებოდა. გემის ერთმა მოსამსახურეთაგანმა როცა გაიგო, რომ გემ ,,ვენერათი'' მოდიოდა გადაცმული ილიოდორე, აღელვებულმა სთქვა: ვწუხვარ, რომ დროით ვერ შევნიშნე ამ ,,ფრინველს'', თორემ მას კისრიკვრით გადავუძახებდი წყალში და მით მე ვისიამოვნებდიო.

**ილიოდორე დონის როსტოვში.**

გამოირკვა, რომ ილიოდორემ ქალის ტანისამოსით მთელი დღე როსტოვში ნაცნობთან გაატარა. მას თან ახლდა ვიღაც პატარა ქალი.

## უცხოეთი.

**ჟურნალ-გაზეთებიდან.**

**რადიკალებისა და მუშათა პარტიის პროტესტები.**

**ლონდონი.** ჰომრულის შესახებ პარტიათა შორის ბრძოლაში მეფის ჩარევამ უკმაყოფილება გამოიწვია რადიკალებსა და მუშებს შორის. ისინი ბრალს სდებენ კაბინეტს, რომ მას სურს გააძლიეროს მეფის უფლება.

— მეფის ჩარევა პოლიტიკაში, — ამბობენ რადიკალები, — შექმნის ახალ სერიოზულ მდგომარეობას. იგი ხალხის უფლებას შეზღუდავს. მუშათა პარტიის ერთმა ლიდერთაგანმა ბერნსმა განაცხადა: ჩვენ ნებას არ მივსცემთ მეფეს ჩაერიოს სახელმწიფოს მართვაში.

ჩვენი წინაპრებიდან მოპოვებულ თავისუფლებიდან არათუ რასმე დავუთმობთ, არამედ უფრო გავაფართოვებთ მას.

ირლანდიის ტრედ-უნიონებისა და მუშათა პარტიის საბჭომ, რომელშიც შედიან ულსტერის მუშების წარმომადგენლებიც, გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

— ირლანდიის მუშები ყოველგვარი საშუალებით შეებრძოლებიან ირლანდიის ნაწილათ დაყოფის ცდას. თუ კაპიტალის წარმომადგენლები, ლენდ-ლორდები, რომელნიც თავის თავს ულსტერის დროებით მთავრობას უწოდებენ, შეეცდებიან სისრულეში მოიყვანონ თავისი მუქარა და შეიარაღებული ძალით ულსტერში სახელმწიფო უფლებას ხელში ჩაიგდებენ, მაშინ ჩვენ ირლანდიის შეკავშირებული მუშები გავილაშქრებთ ამ მტაცებლების წინაამდეგ და მით დავიცავთ დემოკრატიულ დაწესებულებებს.

**ხელშეკრულობის დადება.**

**სოფია.** რუმინია-ბულგარეთის საზღვრებზე შეტაკების გამო მთავრობებმა ხელშეკრულობა დასდვეს ორი კომისიის დანიშვნის თაობაზე, რომელნიც ერთად განიხილვენ ინციდენტებს. მოსაზღვრე ჯარების გასაძლიერებლათ გაგზავნილი რაზმები უკან უნდა იქნას დაბრუნებული.

**შეპყრობა.**

**სიბინი.** მატარებელში 30 რუმინელი სტუდენტი შეიპყრეს, რადგანაც მათ ვენგრია ცუდათ მოიხსენიეს.

**პრეზიდენტ ტის განცხადება.**

ბუდაპეშტი. დეპუტატთა პალატაში მინისტრ-პრეზიდენტმა ტისამ განაცხადა, რომ მთავრობა მშვიდათ და დაბეჯითებით გაატარებს ბოსნიაში საჭირო რეფორმებს, რათა გააუმჯობესოს ამ მხრის სატირალი პოლიტიკური მდგომარეობა, მაგრამ ამავე დროს არ გააზვიადოს ნაკლი.

**კონფერენცია ჰომრულის საკითხის თაობაზე.**

ლონდონში 10 ივლისს, შეიკრიბა კონფერენცია ჰომრულის საკითხის თაობაზე. კრება 2 საათს გაგრძელდა; შემდეგ ასკვიტი მეფემ ინახულა.

ოფიციალურათ იუწყებიან რომ დილის 11 შესდგება კონფერენციის მეორე კრება ჰომრულის საკითხის თაობაზე.

**სროლის ატეხა.**

დურაცო. საღამოზე მოულოდნელად ტრანშეების გასწვრივ და ბატარეებზე სროლა დაიწყო. ქალაქი და მისი მიდამოები უცხოეთის გემების პროჟექტორებმა გაანათეს, სროლამ ერთ საათს გასტანა. მეამბოხეთ არ უპასუხეს; დილით გამოირკვა, რომ სროლა გამოწვეულა გაუგებრობით... 200-მდი ყუმბარა და რა-

ლი ფრანგთა ერის კეთილსაიმედოებაში ეჭვი შეიტანეს და დამბეზღებელთ დიდი როლი მიანიჭეს. და განა ჩვენი სოციალ-დემოკრატებიც სულ მუდამ ამას არა სწერენ და ჰქადაგებენ: არ დაუჯეროთ სხვა პარტიებს; ისინი გატყუებენ, პირზე ნიღაბი აქვთ ჩამოფარებული, შეპარვითა და ცბიერობით ითვისებენ დემოკრატობასა და ხალხოსნობას, ისინი, პირიქით, ხალხის მტრები არიან, ფრთხილად... ეს ფანატიკური იჭვიანობა იმავე მიზეზისაგან არის წარმოშობილი, რა მიზეზებმაც იაკობინელთა იჭვიანობა წარმოშვა. და, სოციალდემოკრატებს რომ დიკტატურა ჩავარდნოდათ ხელში, მათი სამართალიც უთუოდ ისეთივე უსამართლო და ულმობელი იქნებოდა, როგორიც იაკობინელების სამართალი იყო.

რაც შეეხება ხალხის შეშინების მეთოდს, ჩვენი სოციალდემოკრატიის ტაქტიკა ამ მხრითაც ხომ პირწმინდა იაკობინური იყო და არის დღესაც.

12 მარტს 1792 წ. მეფემ მოიწვია იაკობინელთა სამინისტრო, რომელმაც გამოუცხადა ავსტრიას ომი (20 აპრილს 1792 წ.).

ამ დროს ყველა ომის გუნებაზე იყო. მხოლოდ რობესპიერს ეშინოდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ომს, სულერთია, გაიმარჯვებდა თუ დამარცხდებოდა საფრანგეთი, შედეგად რეაქცია მოჰყვებოდა.

ვიდრე 8—9 თერმიდორის (26—27 ივლისს 1794 წ.) ამბები მოხდებოდა, ე. ი. რობესპიერის დაღუპვამდის, რესპუბლიკის ჯარები იმარჯვებდენ. ამ გამარჯვებათ ხელი შეუწყვეს რობესპიერის დაღუპვას. ფიქრობდენ: რადგანაც საფრანგეთი უზრუნველ-ყოფილია გარეშე მტერთაგან, შინაგანი ტერრორი, შეშინება, რევოლიუციონური ტრიბუნალისა მოქმედება და სხ. საჭირო აღარ არისო. ხალხი ეგებებოდა გარეშე მტერზე გამარჯვების ამბებს, როგორც რობესპიერის დიკტატურისაგან განთავისუფლების მოასწავებელ იმედს. რობესპიერი გრძნობდა, რომ უნდა გამართლებულიყო მისი წინაგრძნობა, და აფრთხილებდა საზოგადოებას, ნუ გიხარია ძალიან; იცოდე, თუ ასე გააზვიადე ამ გამარჯვებათა მნიშვნელობა, სამხედრო დიკტატურა დამყარდებაო, და სახელმწიფოს კეთილდღეობა გარეშე მტრის დამარცხებით კი არა, შინაგანი წარმატებით გაიზომებაო.

მაგრამ მის გაფრთხილებას ყურს არ უგდებდენ. თითეული ამბავი გამარჯვებისა სიხარულის ყიჟინას იწვევდა კონვენტში, თვით იაკობინელთა შორის, პარიზსა და მთელ საფრანგეთში. და ამ სიხარულის მიზეზი ის იყო, რომ ხალხს იმედი მიეცა, მოისპობოდა ტერრორი, რევოლიუციონური სასამართლო და სხ., როგორაც აწ უსარგებლო საშუალება.

აქიდან ჩანს, რომ რობესპიერი ცდებოდა: უმთავრესი მიზეზი რეაქციისა სამხედრო გამარჯვება კი არა, თვით მისი და მისი ამხანაგების შინაური პოლიტიკა იყო.

პარტიებმა ერთმანეთი გაჟლიტეს: ჯერ მონტანიარებმა ჟირონდისტები, შემდეგ იაკობინელებმა ჰებერტისტები და დანტონისტები, ბოლოს მონტანიარებმა რობესპიერისტები. გილიოტინა დაუღალავად მუშაობდა. დამოუკიდებელი პიროვნებანი აღარ იყვნენ. საზოგადოებამ დაჰკარგა მოქალაქობრივი გამბედაობა. ხალხმა ვეღარ აიტანა ამდენი ძალადობა, კონფისკაციები, რეკვიზიციები და სხ. ყველაფერი რევოლიუციონურ მთავრობას დააბრალეს და განსაცდელის დროს მას აღარავინ აღარ გამოესარჩლა.

დანტონმა მეტი წინდახედველობა გამოიჩინა. ის მალე მიხვდა, რომ, თუ პარტიები ერთმანეთს შეჭამდენ, რევოლიუციის საქმე დაიღუპებოდა, და, ამიტომ, შერიგებასა და ლმობიერებას ჰქადაგებდა. და, ვინ იცის, ეგებ, მისი ბრძნული რჩევისთვის რომ დაეჯერებიათ, რეაქცია ვერც კი გაიმარჯვებდა და საფრანგეთი იმ დროიდანვე რესპუბლიკად დარჩებოდა. მაშინ კი, უეჭველია, მთელი ევროპა რესპუბლიკად გახდებოდა და კაცობრიობის ისტორია სულ სხვა იქნებოდა!

ამგვარად იაკობინელებმა მარტო საფრანგეთისა კი არა, მთელი ევროპისა და კაცობრიობის საქმე შესწირეს მსხვერპლად თავის ვიწრო პარტიულ ფანატიზმს. ფანატიზმი ყოველთვის ბოროტებასა შობდა.

და სოციალდემოკრატიის ცოდვაც ის არის, მარტო თავის თავს რომ აღიარებს ერთადერთ დემოკრატიად და ყველა დანარჩენ პარტიას — ხალხის მტრად, და იმავე დროს თავისი მიზნის განსახორციელებლად იმავე იარაღსა ხმარობს, როგორსაც იაკობინელები ხმარობდენ, ე. ი. ხალხის შეშინებას.

მუშებს ეშინიათ ამ პარტიისა და ვერ ბედავენ, არ დაემორჩილონ მის ბძანებას.

და შეშინებული იყვნენ და არიან მათგან აგრეთვე გლეხები, ვაჭრები, ინტელიგენცია და სხ.

ისარი.

(შემდეგი იქნება).

სავაჭრო სახლი **ი. გოკიელის** შვილების ქუთაისში.

ამით საყოველთაოდ აცხადებს რომ, **ზომიერ ფასებში** მიღებულია და იყიდება საუკეთესო ხარისხის საზღვარგარეთის **ჯიბის დანები**, პორტფელები, უბის წიგნაკები (კნიჟკები), საანგარიშო ჩოთქები, ყოველ ნაირი საწერი, საბეჭდავი და ფოშტის ქაღალდები.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილება ქ. ქუთაისში.

**ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა.** მიხაილოვის ქუჩა,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილება; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე, მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, ლინოლეუმი საუკეთესო განთქმული ქარხნებისა და სხვა პიანინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულიანადღი, ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურათ მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი.

პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

**Тифлисская контора Акціонернаго Общества пробочной мануфактуры ВИКАНДЕРЪ и ЛАРСОНЪ**

симъ имѣетъ честь довести до свѣдѣнія почт. покупателей, что нашъ „ЛИБАВСКІЙ ЛИНОЛЕУМЪ" въ КУТАИСѢ имѣется въ продажѣ исключительно въ магазинѣ Ф. С. ФИЛИППОВА. Въ виду того, что въ газетѣ „ИМЕРЕТИ" недавно появилось объявленіе одной кутаисской фирмы, съ предложеніемъ „Либавскаго Линолеума", считаемъ своимъ долгомъ предупредить лицъ интересующихся этимъ матеріаломъ, что названіе „Либавскій Линолеумъ" принадлежитъ только производству нашихъ заводовъ и что помимо Ф. С. Филиппова въ Кутаисѣ на линолеумъ у насъ перепродавцовъ нѣтъ. Рекомендуя этотъ фабрикатъ какъ лучшую и гигіеничную настилку для половъ просимъ за смѣтами и другими справками обращаться къ названной выше фирмѣ.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალიერისა ქ. ქუთაისში.

**ფ. ს. ფილიპოვისა.** ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილობა; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის" სამუსიკო ინსტრუმენტების (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია.

პატივისცემით ფ. ფილიპოვი.

მდენიმე ათასი პატრონა ტყუილ-უბრალოდ დახარჯეს.

ქ-ნ კაიოს პროცესი.

ჩვენებას ქ-ნი გაიდანი იძლევა. კაიოს თავის მსხვერპლად სახავს და აცხადებს, იძულებული იყო ცოლისადმი მიწერილი კაიოს წერილები ხელში ჩაეგდო, როგორც იარაღი გაყრის დროს, და კატეგორიულად ამტკიცებს, რომ სრულებით არ ფიქრობდა წერილების გადაცემას კალმეტისთვის. ლაბორისა, სამოქალაქო დავის წარმომადგენლისა და მოწმის შორის ცხარე სცენის შემდეგ, ქ-ნი გაიდანი ლაბორის წინადადებას აძლევს მის განკარგულებაში გადასცეს ეს წერილები.

## ხმა საჭილაოდან.

(სენაკის მაზრა).

ბევრი რამ წამიკითხავს სხვადასხვა სოფელზე, ბევრი რამ მსმენია მათი ავ-კარგისა, მაგრამ არც ერთჯერ საჭილაოს შესახებ. ჩვენი სოფელი არც ისე მიყრუებული და არც ისე ბუნებით დაბეჩავებულია. ინტელიგენცია საკმაოთ ყავს, რომელიც, საუბედუროთ, არაფერს დაეძებს. აქ არსებობს ორკლასიანი სამინისტრო და ერთი ოკლასიანი სამრევლო სკოლები, ერთკლასიანი სკოლებიცაა. გვაქვს ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რომლის საქმეც ცუდათ არის დაყენებული, არის აგრეთვე წრილი კრედიტის საზოგადოება. ყველა ამ საგანზე ბაასი შემდეგისათვის გადავსდვათ.

ახლა კი მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო შემდეგ მოვლენას. როგორც მოგეხსენებათ, საზოგადოთ ოდიშში აბრეშუმის ჭიის მოვლას ძალიან მისდევენ და ამ საქმეში საჭილაო სხვა სოფლებს არ ჩამორჩება. წელსაც, ვინაიდან აბრეშუმს კარგი დარები უდგა, არ დაიშურეს ძალი და ღონე და ზოგმა ორ-ორი და ზოგმა სამ-სამი „კარობკა" შეიძინეს. ზოგიერთი პირების ჩაგონებით აქაურ „ზავოდის" გამგემ ბ. რიგატომ, იტალიიდან (?!) ჩამოიტანა საკუთარი ფირმის თესლი, რომელსაც აგენტები მაშინვე აუჩნდა იგივე პირები, ნოე და მექია. ხალხიც „იტალიელ თესლს" მიეტანა და მთელმა სოფელმა ეს თესლი შეიძინა. „კარობკა" ამ თესლის ჩვეულებრივ „კარობკას" არ გავს და, როგორც ახლა ჩანს, თესლი არც შემოწმებული ყოფილა „სააბრეშუმო სადგურზე". ორი კაცის ნდობამ მთელი სოფელი დაღუპა და საგონებელში ჩააგდო. მთელი სოფელი აბრეშუმით გამდიდრებას მოელოდა, ახლა კი შრომისა და ფურცლის ფასიც ვერ აიღეს. ახლა, როგორც ხმა დადის, „ჭიის თესლი", იტალიიდან არ უნდა იყვეს მოტანილი, არამედ ბათუმში გაკეთებული იტალიანური წარწერით შემოტანილი. „შემოტანილ საქონელს, მეტი ფასი აქვსო"—გაიძახოდენ და ამან დაღუპა მთელი სოფელი, როგორც გავიგეთ, სოფელი უჩივის ზარალის ანაზღაურებას აგენტ ნოე ჩიგოგიძეს. ზარალი კი მამასახლისის და კეთილსინიდისიერების შემოწმებით 60 ათას მანეთს უდრის. მამასახლისისა და კეთილსინიდისიერების გამოძიება კიდევ სწარმოებს, მაგრამ ბოლო რა იქნება ალაჰმა უწყის.

საჭიროა, ვისიც ჯერ არს, ამ საქმეს მიაქციოს ყურადღება, რომ კვლავ მაინც შეუმოწმებელი „კარობკები" და სხვა განცხადებანი თესლის სიკარგეზე შემოწმებული იყოს და სასოფლო სასამართლოში ინახებოდეს.

იჩა—იჟა.

## დაბა-სოფელი.

**დ. ბაღდადი** (ქუთაისის მაზრა) 15 ივნისს დ. ბაღდადში დაარსდა ფოსტის განყოფილება, ურომლისოთაც ბაღდადის საზოგადოება დიდი ხანია განიცთიდა დიდს გაჭირვებას. მაგალითად აქაურ მცხოვრებთ რომ გაეგზავნათ ფული შორეულს მხარეს, ან მიეღოთ გამოგზავნილი ფული ამისთვის გაჭირვებული გლეხი უნდა ჩასულიყო ქ. ქუთაის, და ეს კი თავისებურ ხარჯს თხოულობდა. ბევრი მაგალი, თი ვიცი რომ მიღებული ფულიდან ან გასაგზავნიდან მესამედი ნაწილი მაინც დახარჯვია მიმოსვლაში, ახლა კი აქაური მცხოვრებნი მოკლებული იქნებიან ამდენ უზომო ხარჯს და ცდენას. მათს სიხარულს საზღვარი არა აქვთ, რადგან იქვე აქვთ ფოსტა და ხარჯიც მოაკლდათ. თუმცალა ფოსტა დაარსდა ჩვენში, მაგრამ სასურველია ტელეგრაფიც გვექნებოდეს, რადგან აუცილებელ საჭიროებას შეადგენს აქაურ საზოგადოებისთვის. დ. ბაღდათში ამ დროებით ტელეგრაფის დაარსება ხალხისთვის ძვირად დაჯდება და საგრძნობელი შეიქნება. ამიტომ საჭიროთ ვცნობ მივმართოთ უმორჩილესი თხოვნით მ. ანანოვს რათა დახმარება გაუწიოს ხალხს და თავისი ტელეგრაფის სტოლებზე ბაღდადის ტელეგრაფის სიმების გაბმის ნება დართოს, რითაც დიდათ დავალებული დავრჩებით მის მიერ. ვიმედოვნებთ, რომ ბ. ანანოვი ხელს გაუწვდის ხალხის ასეთ საჭიროებას, რადგან დარწმუნებული ვართ მის გულკეთილობაში.

დვდ. ლუკა ჯიშკარიანი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

ნება მომეცით თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადო ყველა იმათ, ვინაც მე დახმარება აღმომიჩინა ქ. ბათომში „საღამოს" გამართვის დროს, როგორც მატერიალურად ისე ზნეობრივად.

ჩემ გულითად მადლობას ვუძღვნი საურთიერთო ნდობის ბანკის დირექტორს ბ-ნ ნიკო ჯაყელს, რომელმაც ყოველგვარი დახმარება აღმომიჩინა, აგრეთვე ბ-ნ ლევან ჭყონიას, მსახიობ იანგო აპტალიდის, რომელმაც უსასყიდლოთ ამიღო ნებართვა, „ბათ. გაზ." რედაქტორს სპ. ქელიძეს, ჩვენ ახალგაზდა მწერლებს: გ. ქუჩიშვილს, ნ. ჩხიკვაძეს, ნ. ზომლეთელს, გ. ტაბიძეს, და პ. ოდიშელს, რომლებმაც მხოლოდ გზის ფული და ხარჯი აიღეს; ნ. ზომლეთელმა არც ეს აიღო. დიდი მადლობის ღირსნი არიან ბათუმის ახალგაზდა სცენის მოყვარენი, რომლებმაც არ დაიშურეს არც ჯანი და არც მოქმედება ამ საქმისთვის.

დასასრულს ბოდიშს ვიხდი ყველა ზემო ჩამოთვლილი პირნს წინაშე, რომ ზოგიერთი ჩემი დაპირებული სისრულეში ვერ მოვიყვანე, ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო.

მარად მათი პატივისმცემელი

ს. ტაიფუნი.

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯაიანი.

## ქალაქის ამომრჩეველთა საყურადღებოდ

**ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ** ამით ახცადებს, რომ: 1) იმ პირთ, რომელთაც სურთ შეტანილ იქნენ საბოლოო საარჩევნო სიაში და მონაწილეობა მიიღონ ქუთაისის ქალაქის საბჭოს **ᲮᲛᲝᲡᲐᲜᲗᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ** მომავალი ოთხი წლისთვის (1914—1918 წ. წ.), საქალაქო დებულების მე-8 მუხლის თანახმად, **ᲣᲡᲐᲗᲣᲝᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲘᲢᲐᲜᲝᲜ ᲛᲐᲗᲖᲔ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲘᲡ „ᲜᲔᲓᲝᲘᲛᲙᲔᲑᲘ"** ნახევარი წლის გადასახადზე მეტი.

2) ის პირნი, რომელნიც საბოლოო საარჩევნო სიაში არ იქნებიან შეტანილი, არჩევნებში მონაწილეობას კარგვენ.

3) საქალაქო დებულების 24-ე სტ. მე-17 განყოფ., მე-2 მუხ. თანახმად, იმ თანამემამულეებმა რომელნიც ქალაქის გამგეობის მიერ პირველ საარჩ. სიაში შეტანილი არიან საერთო სახელით „მემკვიდრეები ამა და ამ პირისა", უნდა წარმოადგინონ თავის დროზე—და არა უგვიანეს მდგომარე 1914 წლის აგვისტოს 1 რიცხვისა—კანონით დაწესებული საბუთი, სადაც **ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲡ ᲪᲐᲚᲪᲐᲚᲙᲔ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔ**, რომ ეს მემკვიდრეები შეტანილ იქნენ საბოლოო საარჩევნო სიაში. 5—5

ნ. ს. ტერკის მაღაზია

ქუთაისში

ველოსიპედები

ყველაზე იაფად.




შინები, ნაწილები და მოწყობილებანი კონკურენციის გარეშე

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲘᲐᲤᲐᲓ

ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.



ქ. ქუთაისში. (საკ. ტაძართან).

ა. თაბაკარის მაღაზიაში.

მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანები, გრამაფონები, ველოსიპედები და მათი მოწყობილება. საქონლის სიკარგის პირობას ვიძლევი.

ფასები ძლიერ დაკლებულია.

ვყიდით ნისიათაც, თვიური შემოტანით.

სპეციალური წიგნის მაღაზია

**კონსტანტინე ივ. ძის ოცხელისა და ამხ.**

(ქუთაისში.)

აცხადებს, რომ იგი იწერს დიდძალ წიგნს რუსეთისა და საქართველოს ფირმებისაგან, რომლებზედაც მას აქვს პირდაპირი და სალავათიანი დამოკიდებულება, და გამოწერილ წიგნებს უკეთებს საუკეთესო ყდას ახლად გამართულს საკუთარ საკაზმავ სახელოსნოში.

ამის გამო მას, როგორც სპეციალურს და უდიდეს წიგნის მაღაზიას ქუთაისში, ეძლევა საშუალება დაუთმოს წიგნები მეტად სალავათიანი პირობებით ყველა განმანათლებელ დაწესებულებას: შკოლებს, ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს და სხვ. პროვინციის წიგნის მაღაზიებს მიეცემათ ის დათმობა, რაც შეუძლიათ მათ მიიღონ რუსეთიდან წიგნების პირდაპირი გამოწერით, თუ იგინი ერთი თვით ადრე დაიკვეთენ წიგნებს.

მსურველთ ეგზავნებათ უფასოდ ქართულისა და რუსული წიგნების ახლად შედგენილი კატალოგები.

წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია საუკეთესოთ მოწყობილი **საკანცელარიო მაღაზია დ. ოცხელისა**, სადაც მოიპოება ყოველგვარი საკანცელიარიო და სასწავლო ნივთი მეტად ზომიერ ფასად.

ახალი უვნებელი საშუალება

რძე პირისახისათვის **„ბეტტი"**

ფარმ. ს. ს. ნადარეიშვილის.

არბილებს და ასუფთავებს სახეს; სპობს სრულებით ფერმკამლებს, გადაყავს ნამზეური და ასწორებს პირის ნაოჭებს. ურჩევ აგრეთვე მამაკაცებს ვინც პირს ხშირათ იპარსავს და ექერცლებათ სახე, მოითხოვეთ ყველა აფთიაქში და აფთიაქის მაღაზიაში. უმთავრესი საწყობი ქ. ტფილისში ლიბის აფთიაქი **ს. ს. ნადარეიშვილი. განყოფილება ქ. ქუთაისში აფთიაქის საწყობი ლ. კოკოჩევი და პ. შავერზოვი. ფასი ერთი მანეთი. აფთიაქებსა და აფთიაქის მაღაზიებს სკიდკა.**

## რკინის გზა

ქუთაისიდან მიდის

| | | | |
|---|---|---|---|
| ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲡ: | ფოშტის დილის | 11 საათ. | 55 წ. |
| | ჩქარი ღამით | 2 საათ. | 57 წ. |
| | სახალხო დილის | 10 საათ. | 10 წ. |
| | სახალხო ღამით | 1 საათ. | 7 წ. |
| ᲑᲐᲗᲝᲛᲡ: | ფოშტის საღამოს | 5 საათ. | 30 წ. |
| | ჩქარი ღამით | 2 საათ. | 57 წ. |
| | სახალხო საღამოს | 8 საათ. | 35 წ. |
| | სახალხო დილის | 4 საათ. | 27 წ. |
| ᲤᲝᲗᲡ: | სახალხო საღამოს | 4 საათ. | 14 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. | 57 წ. |
| | სახალხო დილით | 4 საათ. | 27 წ. |
| | ფოშტის საღამოს | 5 საათ. | 30 წ. |
| | სახალხო საღამოს | 8 საათ. | 35 წ. |
| ᲨᲝᲠᲐᲞᲐᲜᲡ: | საავგარაკო საღამოს | 5 საათ. | 00 წ. |
| ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲡ: | სახალხო დილის | 6 საათ. | 20 წ. |
| | სახალხო საღამოს | 4 საათ. | 20 წ. |

ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ: | ფოშტის საღამ. | 6 საათ. | 57 წ. |
| | ჩქარი ღამით | 3 საათ. | 50 წ. |
| | სახალ. საღამოს | 9 საათ. | 44 წ. |
| | სახალხო ღამით | 5 საათ. | 50 წ. |
| ᲑᲐᲗᲝᲛᲘᲓᲐᲜ: | ფოშტის დღით | 1 საათ. | 25 წ. |
| | ჩქარი ღამით | 3 საათ. | 50 წ. |
| | სახალხო დღით | 11 საათ. | 22 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. | 23 წ. |
| ᲤᲝᲗᲘᲓᲐᲜ: | სახალხო დილით | 10 საათ. | 3 წ. |
| | ფოშტის დღით | 1 საათ. | 25 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. | 23 წ. |
| | სახალხო ღამით | 3 საათ. | 50 წ. |
| ᲨᲝᲠᲐᲞᲜᲘᲓᲐᲜ: | საავგარაკო დილ. | 9 საათ. | 18 წ. |
| ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘᲓᲐᲜ: | სახალხო საღამოს | 7 საათ. | 39 წ. |
| | სახალხო დილით | 9 საათ. | 38 წ. |

სტამბა „ძმობა", პუშკინის ქუჩა სახლი გოკიელოვის